საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/2104
02/04/2026

2104-01-2-202604021240

ნაზიმ აჯიევს (პ/ნ 20001009212)
მის: ქ. თელავი, სოფელი ყარაჯალა, 30-ე ქუჩა N 58

გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 3 თებერვლის №04/148 ბრძანებით სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - ნაზიმ აჯიევის (პ/ნ 20001009212) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ 2026 წლის 3 თებერვლის №04/148 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო მოქალაქე ვალერი ჩ[illegible] 2026 წლის 25 მარტის N01/2721 განცხადება.

პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში აწვდის მოვაჭრეს შესაბამის ინფორმაციას, განუმარტავს მის უფლება-მოვალეობებს და განუსაზღვრავს არანაკლებ 5 სამუშაო დღის ვადას მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე პოზიციის წარსადგენად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წარმოგვიდგინოთ:

- პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით;

დანართის სახით გიგზავნით საქმის მასალებს: „7“ ფურცელი.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი